ხელშეკრულება №31
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
გამარტივებული შესყიდვა

ქ. თბილისი 25 თებერვალი 2019წ.

ერთის მხრივ, **ა(ა).ი.პ. „მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე“** (შემდგომში - „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის **თინათინ რუხაძის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ორგსერვისი”** (შემდგომში - „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი **ხვიჩა ნემსაძის** სახით ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება'' _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი“ _ წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია, სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში შემსყიდველისთვის სამხატვრო საღებავების შესყიდვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების და დანართი 1-ის შესაბამისად.
(CPV 44812000)

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. **ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა: 146,10 (ასორმოცდაექვსი) ლარი და 10 თეთრი.**
ერთეულის ღირებულება: დანართი 1-ის შესაბამისად.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მიწოდებული საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს (მათ შორის დამატებითი ღირებულების გადასახადს).

3.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 4. ხელშეკრულების საგნის მიწოდების ვადები

მიმწოდებელი უზრუნველყოფს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 დღის განმავლობაში.

მუხლი 5. მხარეთა მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა. მიაწოდოს საქონელი შემსყიდველს მე-4 მუხლით დადგენილ ვადებში;
ბ. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;
გ. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა. უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;
ბ. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

მუხლი 6. ხარისხი

მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

მუხლი 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

7.2. კონტროლს განახორციელებს **ა(ა).ი.პ. - „მოსწავლე ა ალგაზრდობის ეროვნული სასახლის“ - დირექტორის მოადგილე - ლაშა გოგიაშვილი.**

7.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 5 (ხუთ) დღეში გამოასწოროს წუნი ან თუ

წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს საქონლის ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება.

7.4. თუ ამ მუხლის 7.3. პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

მუხლი 8. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

8.1. საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, კონტროლის განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

8.2. მომსახურების მიღებას აწარმოებს: **ა(ა).ი.პ. - `მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე" - მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და ლოჯისტიკის განყოფილების საწყობის გამგე - ილია ჩანადირი.**

მუხლი 9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

9.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება **მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.** თუ კი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

მუხლი 10.ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-12 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში ან 7.3. პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

11.2. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

11.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

12.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

მუხლი 13. დავების გადაწყვეტა

13.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 3 (სამი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

მუხლი 14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

14.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან.

მუხლი 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის **ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

მუხლი 16.ფორს-მაჟორი

16.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

16.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

16.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

მუხლი 17.სხვა პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია **სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი_შემსყიდველს;**

17.2. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მუხლის (ან მისი ნაწილის) ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას;

17.3. საკითხები, რომლებიც წარმოშვებიან წინამდებარე ხელშეკრულების მხარეებს შორის და რომელთა რეგულირებაც არ არის მოცემული ხელშეკრულებაში, გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე;

17.4. ხელშეკრულების მუხლებს წანამძღვრებული აქვს სათაურები ხელშეკრულების ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად და ეს სათაურები არ მიიჩნევა ამ ხელშეკრულების რომელიმე დებულების განმსაზღვრელად, შემცვლელად ან განმმარტებლად.

მუხლი 18. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"

ა(ა).ი.პ. – „მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე"
იურიდიული მის: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №6
ტელეფონი: 2931560
ვებ-გვერდი: www.youthpalace.ge
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა

ს/კ: 404494980

თინათინ რუხაძე

„მიმწოდებელი"

შპს „ორგსერვისი"
მის: თბილისი, ყაზბეგის გამზ N28
ტელ: 2041100, 574647272
info@orgservice.ge
ს/კ 212693851
საბანკო რეკვიზიტები:
ს.ს. „პროკრედიტ ბანკი"
ანგ. GE28PC 0133600100067722

ხვიჩა ნემსაძე

დანართი 1

	საქონელი	რაოდ.	ერთ.	ფასი	თანხა	CPV
1	საღებავი გუაში Nevskaia Palitra 16ფ. 20მლ. CVETIK	1	ცალი	12,50	12,50	44812000
2	საღებავი აკრილის koh-i-noor 500მლ. Black 0700 016275300000	1	ცალი	34,00	34,00	44812000
3	პასტელი ზეთის	1	ცალი	14,60	14,60	44812000
4	საღებავი აკრილის Maries 110	1	ცალი	5,00	5,00	44812000
5	საღებავი აკრილის Maries 227	1	ცალი	5,00	5,00	44812000
6	საღებავი აკრილის Maries 676	1	ცალი	5,00	5,00	44812000
7	საღებავი აკრილის Maries 443	1	ცალი	5,00	5,00	44812000
8	საღებავი აკრილის Maries 104	2	ცალი	5,00	10,00	44812000
9	საღებავი აკრილის Maries 505	1	ცალი	5,00	5,00	44812000
10	საღებავი აკრილის Maries 447	1	ცალი	5,00	5,00	44812000
11	საღებავი აკრილის Maries 302	1	ცალი	5,00	5,00	44812000
12	საღებავი აკრილის Maries 445	1	ცალი	5,00	5,00	44812000
13	საღებავი აკრილის Maries 688	1	ცალი	5,00	5,00	44812000
14	საღებავი აკრილის Maries 219	1	ცალი	5,00	5,00	44812000
15	საღებავი აკრილის Maries 315	1	ცალი	5,00	5,00	44812000
16	საღებავი აკრილის Maries 403	1	ცალი	5,00	5,00	44812000
17	საღებავი აკრილის Maries 121	1	ცალი	7,50	7,50	44812000
18	საღებავი აკრილის Maries 132	1	ცალი	7,50	7,50	44812000
				სულ:	146,10	

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

2019 წლის „25" ივლისი

ვადასტურებთ, რომ `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად სამხატვრო საღებავების შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ხელშეკრულების დადებაზე უფლებამოსილი პირი _____ თინათინ რუხაძე

მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი _____ ილია ჩანადირი

ინსპექტირების განმახორციელებელი პირი _____ ლაშა გოგიაშვილი